# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 448

"27" ნოემბერი 2015 წ

ქ. თბილისი

**ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ფარსმან II ქველის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, მასთან არსებული გასასვლელისთვის და ჩიხისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მედდა მარინა ტაბატაძის სახელის მინიჭების შესახებ**

1. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) გლდანის რაიონში, ფარსმან II ქველის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას, მასთან არსებულ გასასვლელს და ჩიხს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მედდა მარინა ტაბატაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი



X_486309.7761
Y_ 4627679.1717
მარიჩა ტაშატაშის ქ.
X_486380.9317
Y_ 4627590.8492
I გას.
X_486506 1967
Y_ 4627533.6193
მარიჩა ტაშატაშის ქ
X_486420 4263
Y_ 4627503.6494
I ჩიხი
X_486464.7207
Y_ 4627485.0776
X_486430.2212
Y_ 4627437.1646